საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №45/ნ
2023 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

„საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №42/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 22/03/2022; სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.018150) დამტკიცებული „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის“:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს „ა.კ.დ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.კ.ე“ ქვეპუნქტი:

„ა.კ.ე) იტალიური.“;

2. 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. 2023 წელს საგნის გამოცდა იტალიურ ენაში ჩატარდეს შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით:

ა) იტალიური ენის ტესტური დავალებების შემუშავებას უზრუნველყოფს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და გადასცემს ცენტრს ტესტირებამდე არაუგვიანეს 1 თვისა;

ბ) იტალიური ენის ტესტისათვის გამოყოფილ საგამოცდო დროსა და მაქსიმალურ ქულას ცენტრი ადგენს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით;

გ) იტალიური ენის ტესტირებაში მონაწილეობის მიზნით, ცენტრში პირის რეგისტრაცია ხორციელდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით;

დ) იტალიური ენის გამოცდაზე არ ვრცელდება ამ წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა;

ე) იტალიური ენის ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადები ცენტრს წარედგინება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით;

ვ) იტალიური ენის ტესტირება ჩატარდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმატით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **გელა გელაძე**